საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-755

07/08/2019

ქ. თბილისი

გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბერბუკში „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გორი-მეჯვრისხევი საავტომობილო გზის კმ 2 (1+60)-ზე, მდ. თორთლაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 13-ე პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბერბუკში „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გორი-მეჯვრისხევი საავტომობილო გზის კმ 2 (1+60)-ზე, მდ. თორთლაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტზე სკოპინგის დასკვნა №75 (25.07.2019);
2. შპს „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი“ ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №75 (25.07.2019) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გორის მუნიციპალიტეტის, სოფ. ბერბუკის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი